აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №12

27/08/2020 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საარჩევნო პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულების №1 დანართით გათვალისწინებული, შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საარჩევნო პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის №2 ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს ზღვრულ ოდენობას.

4. ამ განკარგულების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2020 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედების ვადა განისაზღვროს ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი